კვირის მიმოხილვა

ეკონომიკა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2019 წლის პირველ კვარტალში 6.3%-ით შემციდა და 281 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შემცირების ძირითადი მიზეზებია რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში და მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის დასრულება. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ სექტორებში: სათამაშო ბიზნესი (133 მლნ აშშ დოლარი), საფინანსო სექტორი (42.7 მლნ აშშ დოლარი, -61.5% წ/წ), ტრანსპორტი (28.6 მლნ აშშ დოლარი, -56.8% წ/წ), სასტუმროები და რესტორნები (25.4 მლნ აშშ დოლარი, უცვლელი წ/წ) და დამამუშავებელი მრეწველობა (21.0 მლნ აშშ დოლარი, -48.5% წ/წ). უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ: ირლანდია (133.2 მლნ აშშ დოლარი) გაერთიანებული სამეფო (42.4 მლნ აშშ დოლარი) და აშშ (22.5 მლნ აშშ დოლარი).

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის მაისში ექსპორტი წლიურად 3.5%-ით გაიზარდა და 334.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 7.3%-ით შემცირდა 751.5 მლნ აშშ დოლარამდე. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 14.5%-ით შემცირდა და 417.2 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ჯამურად, 2019 წლის პირველ ხუთ თვეში, ექსპორტი 14.2%-ით გაიზარდა და 1.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტი 3.6%-ით შემცირდა 3.5 მლრდ აშშ დოლარამდე. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი 13.4%-ით შემცირდა და 2.0 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა. საგარეო ვაჭრობის დეტალური სტატისტიკა 2019 წლის 19 ივნისს გამოქვეყნდება.

ფულადი გზავნილები: 2019 წლის მაისში ფულადი გზავნილების მოცულობამ 145.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11.8%-ით აღემატება 2018 წლის მაისის მაჩვენებელს. ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგი ქვეყნებიდან: იტალია (+28.4%), საბერძნეთი (+24.6%), აშშ (+13.9%) და ისრაელი (+8.4%). ამასთან, გზავნილების კლება გაგრძელდა რუსეთიდან (-5.8%) და თურქეთიდან (-20.0%). 2019 წლის პირველ ხუთ თვეში ფულადი გზავნილები წლიურად 8.3%-ით გაიზარდა და 662.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მონეტარული პოლიტიკა: მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2019 წლის 12 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად 6.5%-ის დონეზე დატოვების შესახებ. 2019 წლის მაისის წლიურმა ინფლაციამ 4.7% შეადგინა, რაც ძირითადად ერთჯერადმა ფაქტორებმა, კერძოდ, თამბაქოს ნაწარმზე აქციზის მატებამ განაპირობა. აღსანიშნავია, რომ მაისში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლებისა და თამბაქოს ფასების გარეშე) 1.1% იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა დროებითია. სებ-ის მიმდინარე პროგნოზით, ინფლაცია, ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვის შემდეგ, 2020 წლის დასაწყისიდან შემცირებას დაიწყებს და დაუახლოვდება მიზნობრივ 3.0%-იან დონეს. გარდა ამისა, სებ-ის შეფასებით მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლა კვლავ სუსტია, თუმცა ინფლაციის მოლოდინების ზრდის რისკების გათვალისწინებით მონეტარული პოლიტიკის შემდგომი ნორმალიზაციის პროცესი შენელებული ტემპით გაგრძელდება. კომიტეტის შემდგომი სხდომა 2019 წლის 24 ივლისს გაიმართება.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.8%	4.8%	4.7%
მშპ ერთ სულზე (ppp)	9,991	10,679	11,485
მშპ ერთ სულზე (აშშ $)	3,857	4,047	4,346
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.8%	6.7%	1.5%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ $)	2.8	3.0	3.3
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	13.1%	8.8%	7.7%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	3.0%	2.9%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	44.4%	44.8%	45.0%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, G&T

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2018-19

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №6 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POOR'S	MOODY'S INVESTORS SERVICE	FitchRatings
BB-	Ba2	BB
პოზიტიური	სტაბილური	სტაბილური
დადასტურებული	დადასტურებული	გაუმჯობესებული
აპრილი-2019	სექტემბერი-2018	თებერვალი-2019

წყარო: სარეიტინგო საგენტოები

ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 870 მლნ ლარის (318.2 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2019 წლის 11 ივნისს 6-თვიანი 20 მლნ ლარის (7.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 6.504% შეადგინა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2019 წლის 11 ივნისს 2-წლიანი 60 მლნ ლარის (21.9 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 6.684% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2019 წლის 25 ივნისს, სადაც 5-წლიანი 50 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

ემისიის კალენდარი, ივნისი 2019

თარიღი	მოცულობა, მლნ ლარი	ვადიანობა
25-ივნისი-19	50	5 წელი

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: სებ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: სებ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას

ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 5.40%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 102.19 (-0.06% წინა კვირასთან). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 95.09 (-0.27% წინა კვირასთან შედარებით), 7.37%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 104.72 (+0.44% წინა კვირასთან შედარებით), 4.08%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 109.06 ფასად (+0.43% წინა კვირასთან შედარებით), 4.55%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 105.93 (+0.10 წინა კვირასთან შედარებით), 3.48%-იანი შემოსავლიანობით.

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევროობლიგაციები



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ $	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/ Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
ევროობლიგაციები								
Georgia	US$	500	6.875%	Apr-21	BB/BB-/Ba2	105.93	3.48	160.77
GRAIL 07/22	US$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	109.06	4.55	270.47
GEOROG 04/21	US$	250	6.750%	Apr-21	BB/B+/-	104.72	4.08	224.87
GEBGG 06/20	GEL	500	11.000%	Jun-20	BB-/-/Ba2	n/a	n/a	n/a
GEBGG 07/23	US$	350	6.000%	Jul-23	BB-/-/Ba2	102.19	5.40	363.63
GEBGG 11 1/8 PERP	US$	100	11.130%	n/a	B-/-/-	103.66	10.39	829.76
GEOCAP 03/24	US$	300	6.125%	Mar-24	-/B+/B2	95.09	7.37	551.63
SILKNET 04/24	US$	200	11.00%	Apr-24	B+/-/B1	104.49	9.79	798.47
ადგილობრივი ობლიგაციები								
GWP 12/21	GEL	30	10.00%	Dec-21	BB-/-/-/-	n/a	n/a	n/a
M2RE 10/19	US$	25	7.50%	Oct-19	-/-/-/-	100.60	5.50	n/a
M2CA 12/21	US$	30	7.50%	Dec-21	-/-/-/-	101.74	6.75	n/a
GLC 08/20	US$	10	7.00%	Aug-20	B+/-/-/-	99.56	7.38	n/a
GLC 06/21	US$	5	6.50%	Jun-21	B+/-/-/-	97.70	7.75	n/a
CRYSTAL 12/19	GEL	10	11.00%	Dec-19	B/-/-/-	100.13	10.75	n/a
CRYSTAL 02/21	GEL	15	10.50%	Feb-21	B/-/-/-	99.63	10.75	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	10.50%	Aug-21	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 08/22	GEL	34	10.00%	Aug-22	B+/-/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	10.50%	Dec-23	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US$	12	8.00%	Dec-21	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	12.75%	Sep-21	B-/-/-/-	100.00	13.00	n/a

წყარო: Bloomberg

ობლიგაციები

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ $	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US$	500	6.875%	Apr-21	BB/BB-/Ba2	105.93	3.48	160.77
Armenia	US$	500	6.000%	Sep-20	B+/-/B1	102.65	3.86	183.53
Azerbaijan	US$	174	2.820%	Sep-21	BB+/-/Ba2u	98.48	3.54	168.75
Belarus	US$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3u	105.02	5.36	353.35
Kazakhstan	US$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	105.17	2.82	97.11
Russia	US$	3,500	5.000%	Apr-20	BBB-/BBB-/Baa3	101.97	2.68	41.55
Turkey	US$	2,000	5.625%	Mar-21	BB/-/B1	100.04	5.59	372.09
Ukraine	US$	1,409	7.750%	Sep-21	B-/B-/Caa1	102.95	6.29	467.98

წყარო: Bloomberg

აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 16.22 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.19% წინა კვირასთან შედარებით და -2.17% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 212 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.93 – 16.84 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 55 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 10.20 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +4.40% წინა კვირასთან შედარებით და +8.40% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 439 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 9.72 – 10.32 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 149 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 16.10 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.77% წინა კვირასთან შედარებით და -3.36% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 150 ათასს გადააჭარბა, GBP 15.78 – 16.96 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 25 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 2.59 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.77% წინა კვირასთან შედარებით და +12.61% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 166 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 2.56 – 2.70 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 18 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



წყარო: Bloomberg

აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ $	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E 2019F	P/E 2020F	P/B 2019F	P/B 2020F
Bank of Georgia	BGEO	GBP	16.22	798	20.4%	-16.7%	17.8%	6.39x	5.81x	1.35x	1.14x
TBC	TBC	GBP	16.10	873	14.5%	-6.1%	5.8%	5.96x	5.47x	1.14x	1.00x
Halyk Bank	HSBK	US$	11.65	3,423	12.0%	-1.3%	12.6%	4.42x	4.13x	1.00x	0.90x
VTB Bank	VTBR	US$	1.26	8,165	6.3%	-10.0%	13.7%	3.90x	3.10x	0.50x	0.45x
Akbank	AKBNK	TRY	6.06	31,512	11.3%	-2.6%	3.0%	5.97x	4.05x	0.61x	0.55x
Garanti	GARAN	TRY	7.86	33,012	1.3%	-5.4%	-1.3%	5.33x	3.77x	0.63x	0.55x
Isbank	ISCTR	TRY	5.09	22,905	23.8%	-12.7%	12.4%	3.82x	3.05x	0.41x	0.37x
PKO	PKO	PLN	42.24	52,800	3.4%	5.6%	7.0%	12.58x	11.84x	1.27x	1.20x
PEKAO	PEO	PLN	111.75	29,331	4.9%	-6.8%	2.5%	12.65x	10.80x	1.25x	1.20x
Millennium	MIL	PLN	9.36	11,348	2.7%	15.4%	5.5%	14.97x	11.46x	1.23x	1.15x
Mbank	MBK	PLN	432.20	18,298	1.1%	0.9%	1.9%	14.61x	12.81x	1.12x	1.05x
BRD	BRD	RON	12.06	8,405	-12.0%	-8.6%	5.8%	8.31x	10.65x	1.09x	1.10x
Banca Transilvania	TLV	RON	2.29	11,027	-3.0%	5.8%	14.2%	9.45x	9.76x	1.36x	1.25x
OTP	OTPD	USD	21.20	11,872	8.2%	8.7%	8.2%	9.85x	9.28x	0.78x	0.69x
Komercni	KOMB	CZK	904.00	171,805	1.6%	-0.7%	6.7%	11.74x	11.58x	1.61x	1.51x
საშუალო								***8.66x***	***7.84x***	***1.02x***	***0.94x***
მედიანა								***8.31x***	***9.28x***	***1.12x***	***1.05x***

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ $	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E 2019F	P/E 2020F	P/B 2019F	P/B 2020F
Georgia Capital	CGEO	GBP	10.20	388	2.0%	-11.7%	-0.1%	11.23x	8.51x	0.78x	0.73x
Tinc Comm	TINC	EUR	12.80	349	8.9%	4.9%	8.5%	n/a	n/a	n/a	n/a
Sabanci Holding	SAHOL	TRY	7.79	15,895	6.0%	-12.8%	3.6%	6.11x	3.13x	0.48x	0.41x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	32.20	484	-7.7%	-10.1%	-4.0%	16.55x	10.55x	1.05x	0.99x
Eurazeo	RF	EUR	61.65	4,719	2.6%	-3.6%	4.7%	39.94x	9.24x	0.88x	0.82x
Carlyle Group	CG	USD	21.78	2,373	33.8%	-4.5%	38.3%	5.57x	3.92x	2.31x	1.08x
საშუალო								***15.88x***	***7.07x***	***1.10x***	***0.81x***
მედიანა								***11.23x***	***8.51x***	***0.88x***	***0.82x***

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ $	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E 2019F	P/E 2020F	EV/EBITDA 2019F	EV/EBITDA 2020F
GHG	GHG	GBP	2.59	341	17.7%	10.2%	27.0%	22.09x	15.05x	9.40x	7.49x
Mouwasat	MOUWASAT	SAR	87.00	8,700	3.9%	-7.2%	8.1%	21.30x	19.19x	15.46x	13.98x
Fortis	FORH	INR	131.00	98,899	-7.4%	-4.2%	-6.8%	1.67x	1.56x	6.80x	6.66x
Raffles	RFMD	SGD	1.03	1,851	-10.4%	0.0%	-6.4%	30.70x	30.23x	19.69x	18.50x
IHH	IHH	MYR	5.63	49,371	4.3%	-7.7%	4.5%	45.65x	36.19x	16.81x	14.42x
Bangkok Chain	BCH	THB	16.70	41,646	-9.7%	3.1%	0.0%	33.17x	29.94x	18.30x	16.63x
Netcare	NTC	ZAR	17.90	25,992	-30.7%	-38.2%	-32.3%	11.77x	11.42x	7.12x	6.79x
Life Healthcare	LHC	ZAR	22.81	33,470	-10.2%	-12.3%	-13.6%	19.18x	14.14x	7.72x	6.99x
Mediclinic	MDC	GBP	3.00	2,210	-8.2%	-46.9%	-7.0%	10.83x	11.46x	7.82x	7.49x
Apollo Hospitals	APHS	INR	1,370.60	190,685	9.8%	41.3%	8.9%	68.67x	48.59x	21.38x	17.64x
KPJ Healthcare	KPJ	MYR	0.98	4,206	-5.3%	-8.0%	-6.3%	22.27x	20.53x	10.67x	10.36x
NMC	NMC	GBP	22.99	4,787	-24.9%	-37.6%	-16.0%	18.58x	14.69x	11.41x	10.33x
საშუალო								***25.49x***	***21.08x***	***12.71x***	***11.44x***
მედიანა								***21.70x***	***17.12x***	***11.04x***	***10.35x***

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამომწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge